



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№300

2017 წლის 22 მარტი

ქ.ლაგოდეხი

მუნიციპალიტეტის დასახლებებში საერთო კრების მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე“, 85<sup>4</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 იანვრის N8 დადგენილების „დასახლების საერთო კრების დებულების დამტკიცების შესახებ“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ:

მუხლი 1. მოწვეულ იქნას გამგებლის ინიციატივით დასახლების საერო კრება, ლელიანის ადმინისტრაციული ერთეულის ლელიანის დასახლებასა და ბებურიანის დასახლებაში.

მუხლი 2. კრების მოწვევის თარიღად განისაზღვროს:

- ლელიანის დასახლებისათვის - 2017 წლის 30 მარტი - 15:00 საათი;
- ბებურიანის დასახლებაში - 2017 წლის 31 მარტი - 15:00 საათი.

მუხლი 3. კრების მოწვევის მიზანია, შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა ინფორმირებულობა, 2016 წლის 30 ივნისს და 7 ივლისს, შესაბამის დასახლებებში ჩატარებულ საერთო კრებებზე ინიცირებული პრობლემებისა და მათი მოგვარების თაობაზე.

მუხლი 4. კრების მოწვევის შესახებ ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს გიორგი მჭედლიშვილი, ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაციის გავრცელება შესაბამის დასახლებებში, დაევალოს ლელიანის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელს - ვიქტორ სხირტლაძეს.

მუხლი 5. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 6. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №22.

გამგებელი:



არლო ჯამბურია